

შპს „ანაპეა“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	3-4
საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-15

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2019 წელი
ნეტო ამონაგები		-
საქონლის გაყიდვიდან		7611
მომსახურების გაწევიდან		-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-
სხვა	3	3292
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(26395)
საწყისი მარაგები		-
მარაგების შესყიდვა		-
გადამუშავების დანახარჯები		-
საბოლოო მარაგები		-
საერთო მოგება		(15492)
სხვა შემოსავალი		-
		-
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(167984)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(129541)
საპროცენტო შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯი (-)		(1838)
იჯარის ხარჯი (-)		-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	4	(184242)
სულ საოპერაციო ხარჯები		(483605)
საოპერაციო მოგება		(499097)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები (-)		-
მარაგები (-)		-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)		-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		-
მიღებული დივიდენდები		-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(499097)
მოგების გადასახადი (-)	5	-
მოგება/(ზარალი)		(499097)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის)		-
გადაფასების რეზერვი		-

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(499,097)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	5,205,069
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	2,408,000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(499,097)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7,113,972

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-12-19	31-12-18
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	3,820	7,956
სავაჭრო მოთხოვნები	7	46,946	53,643
გადახდილი ავანსები	12/13	66,450	252,710
მარაგები		-	

			-	-
მზა პროდუქცია			-	-
სხვა	8	1,023,276	35,959	
საინვესტიციო ქონება		-	-	
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	
ბიოლოგიური აქტივები		-	-	
თვითღირებულების მოდელით		117	235,351	
გადაფასების მოდელით		-	-	
გუდვილი		-	-	
სხვა არამატერიალური აქტივები		-	-	
ძირითადი საშუალებები	9	1,958,519	1,180,585	
ინვესტიციები შვილობილ				
კომპანიებში		-	-	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა				
წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	10	4,021,086	3,438,865	
სულ აქტივები		7,120,214	5,205,069	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-	
სავაჭრო ვალდებულებები		-	-	
ვალდებულებების და ხარჯების				
ანარიცხები		-	-	
ვალდებულებები თანამშრომელთა				
მიმართ		6242	-	
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	
მიმდინარე ვალდებულებები		-	-	
გრძელვადიანი სასესხო				
ვალდებულებები		-	-	
მიღებული გრანტები		-	-	
სხვა ვალდებულებები		-	-	
სულ ვალდებულებები		6242	-	
საკუთარი კაპიტალი				

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	11	8,608,000	6,200,000
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		-1,494,028	-994,931
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		7,113,972	5,205,069
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		7,120,214	5,205,069

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2018 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(4,136)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(4,136)
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7,956
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	3,820

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ანაპეა“ (ს/ნ 404473164) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2014 წლის 09 ივნისს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ბარათაშვილის 6-8-10, სარ. 3 და საქმიანობის ძირითადი ადგილები არის საქართველო, თბილისი, ყვარლის რ-ნი სოფ. ახალსოფელი და საქართველო, გურჯაანი, ყოფილი სოფ კრასნოგორკის მიმდებარედ.

შპს ანაპეა-ს მესაკუთრეები არიან: 1) გოჩა ცქიტიშვილი (პ/ნ01005003869) - 50%; 2) მაია ცქიტიშვილი (პ/ნ01030030991) - 50%. კომპანიის დირექტორი არის გოჩა ცქიტიშვილი (პ/ნ01005003869). კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ყურძნის მოყვანა, არაძირითადი საქმიანობაა სასტუმრო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავლიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო

სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

► ანგარიშების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

2019 წელი

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2019 წელი</u>
	ლარი
ქონების გადასახადის ხარჯი	46,172
მიმდინარე რემონტის ხარჯი	17,585
ბანკის საკომისიოს ხარჯი	2,576
მივლინების ხარჯი	35,597
კომუნალური ხარჯი	12,578
კომუნიკაციის ხარჯი	1,264
სხვადასხვა ხარჯი	41,034
	<u>184,242</u>

5. მოგების გადასახადი

2019 წლის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 0 ლარი.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3820	7271
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		685
	<u>3820</u>	<u>7956</u>

7. სავაჭრო მოთხოვნები

2019 წელი2018 წელი

მოთხოვნები პერსონალის მიმართ	ლარი 2460	ლარი 4,345
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	39393	49,298
	44,486	53,643

8. მარაგები

სხვა	2019 წელი	2018 წელი
მასალები	214,920	18,974
ღვინომასალა	808356	16985
სულ სხვა მარაგები		35959

9. ძირითადი საშუალებები

	ნაშთი 01.01.2019	ცვეთა 01.01.2019	ნარჩენი ღირებულება 01.01.2019	შეძენა 2019	ცვეთა 2019	ნარჩენი ღირებულება 31.12.2019
მიწის ნაკვეთები	319658		319658			319658
მრავალწლიანი ნარგავები	441373	0	441373	18070	0	459443
შენობები	43436	8017	35419		2172	33247
მანქანა-დანადგარები	236522	50571	185951	19547	25277	180220
ოფისის აღჭურვილობა	5632	1507	4125	16900	775	20251
ავეჯი და სხვა ინვენტარი	371721	51336	320385	286627	55547	551466
სოფლის მეურნეობის ტექნიკა	379643	64596	315047	123786	45769	394234
	1797985	176027	1621958	464930	129540	1958519

10. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
დაუმთავრებელი მშენებლობა	4,021,086	3,438,865

11. საგადასახადო ვალდებულებები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
საღირებული საბიუჯეტო გადასახადი	(28184)	(196,702)

12. მიმდინარე ვალდებულებები	(37,333)	(23120)
-----------------------------	----------	---------

13. სხვა ვალდებულებები	0	0
------------------------	---	---

14. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისათვისა შეადგენდა 8,608,000 ლარს და 2018 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 6,200,000 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 30 სექტემბერს

შპს ანაპეა



დირექტორი: /გოჩა ცქიტიშვილი/